14.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე;

14.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში რეგისტრაციის შემდეგ და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

16. გადასახადები და ბაჟები

16.1. მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადების, ბეგარის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე;

16.2.ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილია სამ ეგზემპლარად აქედან ორი ეგზემპლარი ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან, ხოლო მესამე ეგზემპლარი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში.

17. მხარეთა იურდიული მისამართები და რეკვიზიტები

"შემსყიდველი"

სსიპ დღვანის საჯარო სკოლა
საიდ.კოდი 247868240
სს ლიბერთი ბანკის
შუახევის ფილიალი
კოდი:LBRTGE22
ანგ№GE68LB0121110049408000
სოფ. დღვანი
შუახევი
დირექტორი:
/გ. ფუტკარაძე/

"მიმწოდებელი"

შპს "ივიჯი"
საიდ.კოდი 245439271
სს საქართველის ბანკის
ცენტრალური ფილიალი
კოდი:BAGAGE22
ანგ.№GE05BG0000000118402800
ჭავჭავაძის ქ№66
ბათუმი
დირექტორი:
/ე. გელაძე/

4.2.მიმწოდებელი ვალდებულია მყიდველის მოთხოვნისას ანგარიშფაქტურაში მიუთითოს წინამდებარე ხელშეკრულების ნომერი. წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს ანგარი-შფაქტურა;

4.3. ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით;.

4.4. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხორციელდება ლარებში;

4.5. შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის მიერ საგადასახადო ა/ფაქტურის გამოწერიდან5 საბანკო დღის განმავლობაში ჩაურიცხოს მიმწოდებელს ფაქტურაში მითითებული თანხა.

5. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

5.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის ხელმოწერილი წერილობითი შესწორების გარეშე;

5.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია;

5.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება მხარეთა პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

5.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახი, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

6. უფლებების გადაცემა

6.1. მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მესამე პირს მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები.

7. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

7.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წაწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

7.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

8. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

8.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ,

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადაში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელსეკრულებიტ გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.

8.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;

8.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ:

ა) შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას:

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ)საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვეაში.